საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით I კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი

დავით I კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი (876– 881), ბაგრატ I კურაპალატის უფროსი ძე. IX ს-ის 70-იანი 263 წლების ბოლოს არგვეთელმა დიდაზნაურმა ლიპარიტ I ბაღვაშმა (თრიალეთის ქვეყნების დაპყრობისა და კლდეკარის ციხის აგების შემდეგ) დ. I თავის პატრონად ცნო. ამდენად, დ. I ლიპარიტთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა შიდა ქართლისათვის ბრძოლაში (სომეხთა მეფის მხარდაჭერით) აფხაზთა მეფის ადარნასე შავლიანის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის მოკავშირეები კი იყვნენ თავისი ცოლისძმა ნასრა გვარამის ძე და გურგენ ადარნასეს ძე ბაგრატიონები. ეს ფაქტი უნდა მივიჩნიოთ საგარეო ასპარეზზე გადმოტანილ აშოტ I-ის შვილიშვილების შინაური მტრობისა და შუღლის გამოვლინებად, განსხვავებით მათი მამებისაგან, რ-ებიც "ერთსულ, ერთზრახვა და ერთნება იყვნეს". გიორგი მერჩულის ცნობით, 881 დ. I ვერაგულად მოკლა გვარამ მამფალის ძემ ნასრამ. ი. ჯავახიშვილის აზრით, მკვლელობის მიზეზი გახდა ლიპარიტის მიერ თრიალეთის დაპყრობა და მის პატრონად დ. I-ის გამოცხადება, რაც ნასრამ გვარამის სახლის მფლობელობის ხელყოფად მიიჩნია და მამის შელახული უფლებების აღდგენა მოინდომა. მართალია, თრიალეთი თავის დროზე გვარამმა დაიპყრო, თუმცა სხვა ქვეყნებთან ერთად თავის ძმებსაც დაუნაწილა. ამდენად მისი ერთერთი კანონიერი მფლობელი დ. I-იც იყო, რაც არ გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ ბიძაშვილები ერთმანეთს თრიალეთის გულისათვის გადაემტერნენ. მათ დაპირისპირებას და ქართლისათვის ბრძოლაში სხვადასხვა ბანაკში ყოფნას, როგორც ჩანს, უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა. ნასრას გაძლიერება მისი დის აფხაზთა მეფესთან ქორწინებით ბაგრატიონთა სახლის უფროსისათვის ისედაც საშიში ხდებოდა, ამიტომ დ. I ვერ დაუშვებდა ადარნასე შავლიანის მიერ შიდა ქართლის დაპყრობას. ამას ვერც ლიპარტ ბაღვაში შეეგუებოდა, რ-იც ადარნასეს გამოექცა და საყმოდ დ. I კურაპალატს ჩაბარდა. ჩანს, რომ დ. I-მა ლიპარიტი იყმო ნასრა-ადარნასეს კავშირის საპირისპიროდ.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1955; ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, იქვე.

ლიტ.: ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლში ბრძოლის ისტორიიდან IX ს. უკანასკნელ მეოთხედში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1987, №2; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

ა. ბოგვერაძე